საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზაზაშვილი შოთა პეტრეს ძე

ზაზაშვილი შოთა პეტრეს ძე (დ. 2. VI. 1946, სოფ. უდე, ახლანდ. ადიგენის მუნიციპალიტეტი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1998). დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი (1969). 1968–89 მუშაობდა ამავე უნ-ტის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათ. ინ-ტში სხვადასხვა სამეცნ. თანამდებობაზე. 2003–05 იყო თსუ-ის მესხეთის ფილიალის მათ. და ასტრონ. კათედრის გამგე, 2005–07 – ამავე ფილიალის დირექტორი. 2009-იდან მუშაობს სტუ-ის უმაღლესი მათ. დეპარტამენტში. ზ-ს კვლევის სამეცნ. მიმართულებებია: დრეკადობის თეორიის სტატიკის ძირითადი, შერეული და საკონტაქტო ამოცანების მათ. მოდელირება და გამოკვლევა; თხელი ანიზოტროპული დრეკადი ფირფიტის ღუნვის ძირითადი და შერეული სასაზღვრო ამოცანები; მრავალგანზომილებიანი ფიზ. ველების ურთიერთქმედების მათ. ამოცანები კომპოზიტური დრეკადი სხეულებისათვის.